საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990103358372920

№19/3280 21 / სექტემბერი / 2020 წ.

სს „ტერაბანკი“ ID ნომერი: 204546045
მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ №14
ელ. ფოსტა kashiadavid@gmail.com

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შემოვიდა ინფორმაცია, ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზ. N3-ში (ს/კ 01.17.01.093.027) (ძეგლთა ნუსხაში იდენტიფიცირებულია ქეთევან წამებულის გამზ. N3) მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე მიმდინარე უნებართვო სამუშაოებთან დაკავშირებით. თქვენს მიერ, განხორციელებული ქმედების გამოსწორებისა და შესრულებული სამუშაოების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მოთხოვნით, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის საფუძველზე, გეძლევათ ეს წერილობითი გაფრთხილება, რომლის საფუძველზეც ვალდებული ხართ:

1. უზრუნველყოთ დაუყოვნებლივ შეჩერდეს უნებართვო სამუშაოები;
2. სამი თვის ვადაში უზრუნველყოთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან ძეგლზე სამუშაოების ნებართვის მოპოვება;
3. მიღებული ნებართვის საფუძველზე უზრუნველყოთ ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზ. N3-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა;
4. ნებართვის მოპოვების შემდგომ ათი დღის ვადაში უზრუნველყოთ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი ანგარიშის წარმოდგენა, კერძოდ განაცხადი და სანებართვო მოწმობა;

წინამდებარე გაფრთხილების შეუსრულებლობა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 5 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის ან ამხანაგობის დაჯარიმებას 10 000 ლარით, ამ მუხლით განსაზღვრული დაჯარიმების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში შესაბამისი ძეგლის მესაკუთრეს (კანონიერი მოსარგებლეს) ყოველ 6 თვეში ეკისრება წინა ჯარიმით განსაზღვრული თანხის სამმაგი ოდენობა.

გაფრთხილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მის: ქალაქი თბილისი, სანაპიროს ქ. N4) ერთი თვის ვადაში.

კულტურული მემკვიდრეობის ინსპექციის უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

დავით ტყეშელაშვილი